საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 181 2022 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი გრძელვადიანი განსახლების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

1. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი გრძელვადიანი განსახლების პროცესის კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მეშვეობითა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთკოორდინაციით, უზრუნველყოს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვა და შესყიდვების განხორციელება.

2. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი გრძელვადიანი განსახლების მიზნით, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების/ბინების მშენებლობა და რეაბილიტაცია 2022 წელს დაფინანსდეს იძულებით

გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნის პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 06 03) ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**